№ 258 დეკემბერი 5, შაბათი — 1892 — დეკემბერი 5, შაბათი № 258

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, [illegible], ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სახოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

## „ივერია“

გამოვა 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის სჳედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

### ქართული სახალხო ბიბლიოთეკა და სამკითხველო

(არწრუნისეული ქარვასლა, № 36)

შეიძლება წიგნებ-გაზეთების კითხვა და თან წაღება, ყოველ დღე 9 საათიდგან 2-ის და საღამოთი 5—7-ის; მხოლოდ უქმე დღეებში 11—2-ის.

ბიბლიოთეკაში ისყიდება „მოთხრობანი“, ქართველ ქალების გამოცემა, „ხუთი ამბავი“, საყმაწვილო წიგნი და პირველ წლების „ჯეჯილი“.

იქვე მიიღება ბიბლიოთეკის სასარგებლოდ შეწირულობა წიგნებით და ფულით. (5—3)

---

ტფილისი, 4 დეკემბერი

„ივერიის“ მე-247 ნომერში გვქონდა დაბეჭდილი საყურადღებო ამბავი ს. მარიამ-ჯვარიდან. კორესპონდენტი იწერება, რომ ლამის სული ამოგვხდეს უმამულოდ, ტყე ჩვენ არა გვაქვს და საძოვარიო. ცამეტ კომლიან სოფელს ნადელად მიეცა სულ 130 დღიური, აქედგან 30 დღიური წყალმა წალეკა, დაგვრჩა სულ ასი დღიური, სულ ეგ არის ჩვენი ავლა-დიდება: სახნავიც, სათესიც და საქონლის საძოვარიცაო. კომლზე ხუთი სული რომ ვიანგარიშოთ, *) სოფელ მარიამ-ჯვარში იქნება სულ 65 სული, მაშასადამე სულზე მოვა დღიურ ნახევარზე ცოტა ნაკლები, ანუ, რუსულად რომ ვსთქვათ, სამი მესამედი დესეტინასი.

ჩვენ, მკვიდრნი, ასეთ გაჭირვებაში ვართო უმამულოდ, ამბობს იგივე კორესპონდენტი, და ამავე დროს გერმანელებს და დუხაბორებს მამული ყელში ამოსდით.

სამწუხაროდ, ჯერ ჩვენი ქვეყანა რიგიანად არ არის შესწავლილი სტატისტიკურად, თორემ ამაზე უარესი სამწუხარო ამბები აღმოგვაჩნდებოდა. ჩვენ ხელთა გვქონდა ორიოდ-სამიოდე საქმე, საიდამაც სჩანს, რომ ქართველს მხვნელ-მთესველს იმდენი მამულიც არა აქვს, რაც შერჩენიათ მარიამ-ჯვარელებს. მაგალითებრ, სოფელ ხეითში ორ კომლს გლეხს ნადელში მისცემია სულ ათი დღიური. ეხლა ორი კომლი შვიდად გადაქცეულა, თითო სულს დღიურის ერთ მესამედზე ნაკლები მოსდის. ხეითელები, რასაკვირველია, სრულიად უმამულოდ უნდა ჩაითვალნენ და, თუ არავინ იზრუნა იმათთვის, ოჯახი სრულიად დაეღუპებათ და მოჯამაგირობით თუ დაირჩენენ თავს, თორემ სხვა სახსარი და ღონის-ძიება აღარ მოეპოვებათ ლუკმა პურის საშოვნელად.

ასეთი მწარე ბედი მარტო ხეითელებსა და მარიამ-ჯვარელებს არ დაემართებათ. სამწუხაროდ, ამ ქარ-ცეცხლში გაივლის მთელი საქართველოს გლეხობა. აქ იმერეთზედ არას ვიტყვით, რადგან საქვეყნოდ აღიარებულია და სრულ ჭეშმარიტებად მიღებული, რომ იმერეთში მეტად მცირე მამული მიეცათ გლეხებს ნადელში. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ თითო კომლს მიეცა ნადელად სარწყავი ათის დღიურისა, ურწყავი—ოცისა, ამ ანგარიშით გამოდის, რომ სარწყავ მამულში თითო სულზე ორი დღიური მოსდიოდა გლეხსა და ურწყავში ოთხისა. მაგრამ ასეთი ანგარიში შემცდარი იქნება; ასე მარტო კანონში სწერია, ნამდვილად-კი სულ სხვაა. საქმე იმაშია, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენთა მებატონეთა მცირე მამულიანი გახლდა და თავის ყმას სრულს ნადელს ვერ აძლევდა. კანონის ძალით, მცირე მამულიანი მებატონე მარტო თავის მამულის ნახევარს აძლევდა ნადელად. მეორე ნახევარს თვითონ ინარჩუნებდა. ცხადია, რომ სრულს ნადელს განთავისუფლებულ გლეხების მეათედი ნაწილიც ვერ მიიღებდა. თუ ასე იყო ამ ოცდა-ხუთის წლის წინად, ეხლა რაღა უნდა იყოს, როდესაც ხალხი გამრავლდა ერთი ორად? ამისათვის ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ უმამულობა ჩვენის გლეხისა მალე თითით საჩვენებელი შეიქნება და დიდი ხანი არ გაივლის, რომ ყველას ხეითელების და მარიამ-ჯვარელების საქმე დაემართებათ. თუ საქმეს არ ეშველა როგორმე, ჩვენ მიწის ხვნელს, რომლის კეთილდღეობაზეა აშენებული ქვეყნის ბედნიერება, შურით მოუხდება ცქერა რუსის გლეხისა, რომელსაც ერთ ნახევარ დესეტინაზე ნაკლები მამული არა აქვს, თუმცა ყურები გამოგვიჭედეს, უმამულობა უცარავს ხელს რუსეთის გლეხს და თავისი საქმე რიგიანად ვერ მოუწყვიაო.

საქართველოში ოცი-ორმოცის წლის წინად ბლომად იყო თავისუფალი მამული. ეხლა ეს მამული სხვას უჭირავს, რადგან იმათთვის ზრუნავდნენ, ირჯებოდნენ და აგი ეხლა კიდეც კარგადა სცხოვრობენ. ფადეევის *) წერილები რომ გადიკითხოთ, მწარე ღიმილი მოგივათ და გაკვირვებული იკითხავთ; რითი დაიმსახურა ამ უცხო ქვეყნიდამ შემოხიზნულმა ხალხმა ასეთი თანაგრძნობა, რა სამსახური მიუძღვით იმათ ჩვენის ქვეყნის წინაშე, განა იმათმა მამაპაპამ შეჰქლება სისხლით საქართველოს ნიადაგიო?.. გერმანელ ახალშენებისთვის ეძებდნენ საუკეთესო მამულებს, განსაკუთრებულს მოხელეებს უნიშნავდნენ იმათ საპატრონოდ, გზებს უკეთებდნენ, ასე გასინჯეთ, სახელმწიფო ხარჯით არხებიც გაჰყავდათ იმათ მამულებში, ხარჯისაგან ანთავისუფლებდნენ და ხშირად ბეჩავი ქართველი თავის ურმით ბარგი-ბარხანასაც უზიდავდა იმათ ერთის დგილიდგან მეორემდე.

ეს კიდევ არაფერი. იმ სახელმწიფო გლეხთათვის, რომელნიც ბინადრობენ კერძო მებატონეთა მამულზე, სულ სხვა გვარი დებულება გამოიცა, ესრედ წოდებული „მეკომურთა დებულება“ 1870 წლისა, 14 მაისისა **). ამ დებულების ძალით ნადელი გლეხს ეძლევა კომლობით-კი არა, როგორც ჩვენსას, არა, ნადელი იანგარიშებოდა სულობით. თითო სულს მამრობით სქესისას ეძლეოდა ხუთი დესეტინა, ანუ ათი დღიური. კომლში სამი სულიც რომ ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ გლეხს ნადელად შეეძლო მიეღო ოცდაათი დღიური.

მკითხველი თვითონაც მიჰხვდება, რომ ამისთანა გარემოებას ჩვენი განმარტება სრულიად აღარ

*) მთავრობა ასე ანგარიშობს ხოლმე. ხანდისხან ამ რიცხვს ამცირებენ, მაგრამ კომლზე ოთხ სულზე ნაკლებ არ ანგარიშობენ.

*) ცნობილი გენერალი როსტისლავ ფადეევის მამა, რომელიც თ. ვორონცოვის დროს სახელმწიფო მამულებს განაგებდა ჩვენში.

**) ამ ჯურის გლეხები ბინადრობენ მომეტებულად ახალციხისა, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში, აგრეთვე ერევნისა, ბაქოსა და განჯის გუბერნიაში. მომეტებული ნაწილი მაჰმადის სარწმუნოებას აღიარებს, უფრო შემოხიზნულნი არიან, ვიდრე მკვიდრნი.

---

# ფელეტონი

### გზა-დაბნეული ცხოვარნი

(დასასრული *)

სიმონმა მიიღო მამის წერილი და ასე გასინჯეთ, წაიკითხა კიდეც; მაგრამ-კი, როგორც გადასხვარჯულებულს კაცს, გაუძნელდა. როგორც იყო, დედა-აზრს წერილისას მაინც მიხვდა და საგონებელს მიეცა. ერთის მხრით წარმოუდგა თვალ-წინ მოხუცებული მამა, რომელმაც არაფერი დაზოგა იმის გამოზრდაზედ, რომელმაც თავის თავს ბევრი ვაივაგლახი და ნაკლულევანება მიაყენა და შვილს-კი არაფერში აგრძნობინა სინაკლულე. გაიხსენა დედა, რომელიც ისე ასათუთებდა და ანებივრებდა მას ბავშობიდამვე. იგრძნო, რომ ყოველსავე ამას გარდახდა უნდოდა, ამას-კი მაშინ შეიძლებდა, თუ მშობელთა სურვილს აღასრულებდა. მაგრამ მეორეს მხრით დაეხატა ნეტარი და ბედნიერი ცხოვრება აფიცრისა: წკრიალა დეზები, ბრჭყვიალა პაგონები, გაკრიალებული ჩექმები, ხმალში ვარჯიშობა, ქალებთან ცელქობა, ქეიფი, ლაზღანდარობა, უზრუნველობა და აერია დავთარი. ყველაფერს რომ შევურიგდეო, ჰფიქრობდა სიმონი, ანაფორის, იმ პაპლაუშა ტანისამოსის შერიგებას ვერ შევსძლებო. ან-კი როგორ შეედრება ანაფორა აფიცრის მუნდირს; სად მღვდლის ჩანჩალი და სად აფიცრის ნავარდობა. ამ ნაირად უკანასკნელმა საბუთმა პირველი საბუთი სრულიად გააქარწყლა და გააბათილა. სიმონის ფუქსავატი გონება ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ აფიცრად არყოფნა შესაძლებელი იყო. მარტო ის რად ღირსო, ამბობდა სიმონი, რომ ქუჩაში აგერ „ნიჟნი ჩინი“ გამოგეჰიმება და „ჩესტს“ მოგცემსო. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, სიმონი სულით უკვე აფიცერი იყო და დიდის მოუთმენლობით მოელოდდა იმ დღეს, როცა ხორცითაც აფიცერი გახდებოდა ე. ი. როცა ოფიციალურად გამოაცხადებდნენ მის აფიცრობას.

როცა სიმონი ასეთს ფიქრსა და ოცნებაში იყო გართული, თან იმასაც ანგარიშობდა, თუ რა მისწეროს მამას პასუხად, რით გავიმართლო მასთან თავიო. ამ დროს მამა მაკარი, მოსვენება დაკარგული და ძილ-დაფრთხობილი მახლობელ საფოსტო სადგურზედ დადიოდა ყოველ დღე, იქნება სასურველი წერილი მივიღო შვილისაგან და დავმშვიდდეო.

გაიარა ერთმა კვირამ. გავიდა რამდენიმე დღეც და, როგორც იყო, მაკარიმ მიიღო წერილი, რომელიც ხელის კანკალითა და გულის თრთოლით გახსნა. აი სიტყვა-სიტყვით სიმონის წერილის შინაარსი: „მამა ჩემო, ძლიერ შევწუხდი შენი წერილით იმიტომ, რადგანაც რომ ვერ გავიგე, ახლაც არ ვიცი თათრულები იყო შიგ სიტყვები, თუ სპარსულები. აზრი მაინც გავიგე, რომლითაც შენ მისაყვედურებ, რადგანაც მე აფიცერში მივდივარ. ამ საფუძველზედ შენს საყვედურს არა აქვს ადგილი. შენც გითქვამს და მეც ვიცი, რომ მამულისათვის სჯობს, რომ შვილი მამას სჯობდეს და რომ აფიცრობა მღვდლობას სჯობს, ეს ისეთი აქსიომაა, როგორც რომ ორჯელ ორი ოთხია. ასეც რომ არ იყოს, ამის უმისოთ პროგრესი არ იქნება, ესე იგი ქვეყანა წინ ვერ წავა, ესე იგი რეგრესის გზას დაადგება. მე რომ აფიცრობა მინდა, ეს იმის მიზეზით მინდა, რომ პროგრესისტი ვარ, ან უფრო გასაგებათ რომ გითხრა, მე მსურს და ვცდილობ ქვეყანამ წინ იაროს, ესე იგი უმჯობესობაში შევიდეს. ეს ადვილიცაა ჩემგან, რადგანაც რომ ვოენი სამსახური ისეთი ხელობაა, რომ სულ აბრაზოვან, ესე იგი განათლებულ კაცებთან მექნება საქმე. სოფელში რომ მოვიდე და მღვდლად ვეკურთხო, მეც ისე გამოვყრუვდები, როგორც რომ სოფელი. ახლა გწყენთ ჩემი აფიცრობა, თორემ როდესაც რომ აფიცრის მუნდირში მნახავთ გამოჯგიმულს, მაშინ გიამებათ, ვიცი. შენ თუმცა რომ ურჩობას მიაწერ ამას, მაგრამ მე ეს მომიხთება და ქვეყანას კიდევ უფრო“.

ამ წერილის წაკითხვამ საბრალო მაკარი ისე გააფითრა, ისე გაარინდა, რომ გაქვავებულს დაამსგავსა. დიდხანს იყო ასეთს გამოურკვეველს მდგომარეობაში და თავის თავისათვის ანგარიში ვერ მიეცა, თუ რა ემართებოდა. ბოლოს უნუგეშოდ გაიქნია თავი და სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა: ღმერთო, რა დაგიშავე, რომ ამ დღეს შემასწარიო. ამ საყვედურით წარმოთქმულს სიტყვებს მაკარი შემდეგ დაუკვირდა და სასინანულოდაც დაურჩა. ბოლოს თანდათან შეეჩვია იმის ფიქრს, რომ შეუძლებელი დედამიწის ზურგზე არაფერი იყო და რომ ყველაფრის გარიგება ღვთის მიუწდომელ განგებას ეკუთვნოდა. სიმონის გააფიცრებასაც, რასაკვირველია, ამ მიზეზით ხსნიდა და თან ამასაც უმატებდა: „უფლისა არს ქვეყანა და სავსება მისი, სოფელი და ყოველი დამკვიდრებული მას შინაო“.

გავიდა რამდენიმე წელიწადი და სიმონს აუსრულდა გულითადი სურვილი—აფიცერი გახდა; მაგრამ სახუმრო აფიცერი-კი აღარ იყო. ისე იბღიძებოდა, ისე იჰიმებოდა, რომ თავის კანში აღარ ეტეოდა. როცა ქალაქში ცხოვრებით გული იჯერა, რამდენიმე კვირით თავისუფლება ითხოვა და სოფელში გასწია, რათა თავის თანამემამულეთათვის მისი ასეთი ბედნიერება და დიდებულება ეჩვენებინა. სოფელში მისვლის დროდ შემოდგო-

*) იხ. „ივერია“ № 257.

ეჭირვება. თვითონაც კარგად იგულისხმებს, როგორ და რა გზით უვლია ამ საქმეებს. აქ, რასაკვირველია, იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ სახაზინო გლეხი იხდის ნადელში მარტო მეათედს შემოსავლისას, ესრედ წოდებულს ბარას. დროებით ვალდებული გლეხი-კი ღალას აძლევს შემოსავლის მეოთხედს.

ზემო ნათქვამიდამ ცხადადა სჩანს, რა დიდ გაჭირვებაში ჩავარდება დღეს თუ ხვალ ჩვენი სოფელი, თუ მალე მზრუნველი არ აღმოუჩნდა. უმამულობას რაღა თქმა უნდა, სიღარიბე და სილატაკე მოჰყვება; ამას კიდევ უსწავლელობა და ქვეყნის მრჩენელს სოფელს ის დაემართება, რაც მოუვიდა რუსის გლეხს, რომელმაც აღარ იცის, სული როგორ მოითქვას და რომელიც ლამის სული განიორწყალდეს.

ჯერ ღვთის მადლით საქმე ისე არ გაგვჭირვებია, რომ გამობრუნება არ შეიძლებოდეს. შველა ადვილია, მხოლოდ მონდომებაა საჭირო. ჩვენში მოიპოვება კიდევ თავისუფალი ადგილები, რომელიც უფრო ადგილობრივ მკვიდრისათვის არის უპრიანი, ვიდრე შემოხიზნულისათვის. მაგრამ საქმე ისაა, რომ მთქმელს გამგონეც ჰყავდეს, სიტყვას საქმეც მოსდევდეს. შეიძლება ჩვენი ნათქვამი არავინ შეისმინოს, მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით, სხვა არა იყოს რა, გვეცოდინება მაინც საქმის ვითარება.

ა. ფრონელი

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ.

ქ. ტრაპიზონში 8—9 ნოემბერს ხოლერით ავად გახდა 13, გარდაიცვალა 3.

ქ. ვანში 8 ნოემბერს ავად გახდა 17, გარდაიცვალა 7.

ერზინჯანში 8—9 ნოემბერს ავად გახდა 96, გარდაიცვალა 37.

ქ. ბუდაპეშტში 7—8 ნოემბერს ავად გახდა 12, გარდაიცვალა 7.

## ახალი ამბავი

*** კახეთში რკინის გზის გაყვანის საქმის გადასაწყვეტად 20 ამა დეკემბერს საგანგებო კრება ექნება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას. უკეთუ საქმე ისე გადაწყდა, რომ თავად-აზნაურობა იკისრებს ზემოხსენებულ რკინის გზის გაყვანას, მაშინ ახალ წლის იანვარში კიდევ სხვა საგანგებო კრება იქნება შესახებ იმისა, თუ საიდგან გამოძებნოს საშუალებანი ამ საქმისათვის.

*** 22 დეკემბერს ტფილისის სასამართლო პალატაში დანიშნულია გასარჩევად საქმე ფილოფეის მონასტრის არქიმანდრიტ ნიკიფორე პაპასკოტისა, ქრისტოფორე პანტელეიმონისა და სოლომონ ებიტაშვილისა, რომელთაც ჰბრალდებათ მოკვლა არქიმანდრიტის ევგენისა.

*** 8 დეკემბერს ოლქის სასამართლოს სესია გაარჩევს გორში საყურადღებო საქმეს სოლო ლეკიშვილისა და ექვს სხვებისას, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს სურამის ბოქაულს.

*** ჩვენ მივიღეთ ყვირილიდამ ბ-ნ დიმიტრი ოქროპირის ძის ხუნდაძესაგან და სარდიონ ბექაუის ძის მამალაძისაგან სამ-სამი მანათი ბ-ნ თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ დასაკვეთად. ამ ფულისა იყო დღემდე 163 მ., შესდგა სულ 169 მანეთი.

*** ტფილისის მიდამოს რამდენიმე ბაღ-ვენახების პატრონები მერმისს აპირობენ შეადგინონ ამხანაგობა, რომელსაც საგნად ექნება ხილის ჩირი აკეთოს და ჰყიდოს, როგორც ადგილობრივ ბაზარში, აგრეთვე საზღვარ-გარედაც. ამ ამხანაგობას ძირის ფულად უკვე 20,000 მ. შეუგროვებია.

*** 21 ნოემბერს სალამოს ჟამზე აკურის სახელმწიფო ტყის ყარაულმა კიორგი გრემელაშვილმა მოასწრო სახელმწიფო ტყეში წინანდალელ მემცხვარეს, სოსიკო მეგრელიშვილს და თოფს ართმევდა. მეგრელიშვილი არ ანებებდა. მოუვიდათ ჩხუბი და მემცხვარე ყარაულმა დასჭრა.

*** ამ დღეებში, როგორც ხმა ისმის, ქართველ კათოლიკებს ხელახლად მოუვიდათ თავიანთ სასულიერო მთავრობის ბრძანება, რომ ქართულად ეკკლესიებში დღეის შემდეგ წირვა-ლოცვა აღარ იყოს ხოლმეო.

*** 2 დეკემბერს კახეთის გზაზე შემდეგი უბედურება მოხდა. თელავიდგან მამულოვის დილიჟანს 9—10 კაცი მოჰყავდა. სალამოს ასე 7 საათზედ დილიჟანი ორხევის სადგურის ახლო გადაბრუნდა და შიგ მსხდომნი თითქმის ყველანი დაშავდნენ. ზოგს თავი გაუტყდა, ზოგმა მკლავი იღრძო, ზოგმა ფეხი. ერთს მგზავრთაგანს, მიხეილ ნარეკლიშვილს, ცალი ფეხი ძლიერ დაუშავდა.

*** ტფილისის უსახელო საზოგადოებამ, ქალაქის დელეგატის წინადადებით, გადასწყვიტა, 1893 წლის იანვრიდან შემოიღოს ისეთი ვაგონები, როგორიც პეტერბურგშია. ყველა დახურულ და ახდილ ვაგონების გადაკეთებას უკვე შესდგომიან. ვაგონები შუშაბანდიანი იქნება. ასეთი ვაგონები ჩვენთვის, ტფილელებისათვის, ძლიერ საჭიროა, რადგანაც ქუჩები უსუფთაოა და როცა მიდის კონკით ადამიანი, ქარი მტვერს აყრის თავ-პირში.

გეგმა ამ ვაგონებისა უკვე წარდგენილია სამოქალაქო სამმართველოში. ახალ ვაგონებს მაშინ შემოიღებენ, როცა სამოქალაქო მმართველობა ნებას დართავს.

*** სოხუმი: გუდაუთში რუსეთის სანაოსნო საზოგადოების აგენტს ივანოვს ავაზაკები დაეცნენ და წაართვეს 6 ათასი მანეთი და მიიმალნენ. სწორედ მაშინ მოასწრეს ივანოვს გასაძარცვავათ, როცა შინისაკენ მიდიოდა. ამ საქმის ადგილობრივ გასარჩევად წაბრძანდა ოლქის უფროსი პოლკოვნიკი ბრაკკერი.

*** ქუთაისი: როგორც იყო გადავრჩით ხოლერას, მაგრამ სამაგიეროდ გვესტუმრა სხვა ავადმყოფობა, ჩუტ-ყვავილა, რომლითაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის 12 შეგირდი გახდა ავად.

ქალაქში ხუნაგიც გაჩნდა.

*** წრეულ სომხების იორდანე სად იქნება გამართული ჯერ არავინ იცის. ტფილისის სომეხთა კონსისტორიამ სთხოვა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს, ნება მოგვეცით, ვანქის ეკკლესიიდან მადათოვის კუნძულზედ მიხეილის ხიდით და სახერხავ ქარხნების ახლო გზით მივიდეთო. ამაზედ ჯერ ნება-რთვა არ მიუღიათ.

გაზ. „ნორ-დარი“ ამბობს: უკეთუ გუბერნატორმა ნება არ დართო კონსისტორიას, მაშინ მტკვრის მარცხენა ნაპირს ამოირჩევს: ან ასრიევის სახერხ ქარხნის ახლო, ან არა ჩუღურეთში. პირველ შემთხვევაში წირვა გადახდილ იქნება თანდიევის სომეხთა ეკკლესიაში, ან ავლაბრის „კარმირ-ავეტრანის“ ეკკლესიაში.

*** სოხუმის მცხოვრებლები სთხოვენ გაზ. „Н. О.“ შემწეობით საფოსტო მმართველობას, ყურადღება მიაქციეთ ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობასაო. რაც მისვლა-მოსვლა გემებისა გამოიცვალო, ნოემბერს აქეთია ფოსტა ისევ კვირაში ერთხელ მოგვდისო. იმედი აქვთ სოხუმელებს, რომ მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს, როგორც წარსულ წელში.

*** გაზ. „ნორდარს“ ატყობინებენ, რომ ეჩმიაძინის სინოდი აპირობს სამართალში მისცეს ხუროთ-მოძღვარი შტერნი, რადგანაც მის მიერ აშენებულის ეჩმიაძინის სენაკის თაღი დასკდა და ერთობ საშიში შეიქმნა.

*** ამ წინაზედ კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა სომეხთა ეპისკოპოსი და დარჩა 25,000 მანეთი. თავის ნათესავს წერილი დაუტოვა, ეს ფული საქველ-მოქმედო საქმეებს მოახმარეო, სხვათა შორის 10,000 მანეთი ვანქის ახალს სომეხთა სკოლასაო. („Н. О.“).

*** უზუნ-ადიდგან ბაქოში ბამბის მომტან გემის პატრონები, როგორც გაზ. „Каспій“ სწერს, გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან თურმე; ბამბა ყოველ დღე მოდის, მაგრამ შესანახი ადგილი არსად არის, რადგანაც ნავთ-სადგური გატენილია 1,000 ვაგონით. 26 ნოემბერს კიდევ სამი გემი მოვიდა, ბამბით დატვირთული მაგრამ გადმოცლის ნება არსად მისცეს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჩვენ მკითხველებს ეხსომებათ მთავრობის განკარგულება შესახებ იმისა, რომ შავის ზღვის ნაპირებზედ დაასახლონ რუსეთის ზოგიერთ გუბერნიის უადგილ-მამულო გლეხები. ეს ამბავი არა ახალია, ძველია. ამ რამდენსამე წლის წინად ბათუმის მახლობლად დასახლდენ რუსეთის გლეხები. ეს ადგილი, როგორც მოგეხსენებათ ჩინებულია და მხოლოდ შემუშავება უნდა. ერთად ერთი ნაკლი აქვს ამ ადგილებსა—ციებ-ცხელება აცის; აი სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ რუსეთიდგან გადმოსახლებულთ ამ ადგილებში ვერ იხოვინეს. გარდა ამისა, სწორედ უნდა ვსთქვათ, რომ იქ დასახლებულთ სრულიად არ იცოდნენ იქაურ ადგილების შემუშავება. ან საიდგან ეცოდინებოდათ ცივ-ქვეყნების მცხოვრებთ იმ ადგილების მოვლა, სადაც ლიმონი და ფორთოხალი ხეირობს. არც არის საკვირველი, რომ რუსებს ლიმონის ხე უბრალო ხედ ჰგონებიათ და ცოტა ხანში გაანადგურეს კიდეც. ამ საქმის შესახებ გაზეთ „Нов. Врем.“-ში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ მოლჩანოვისა, რომელიც სხვათა შორის ამბობს:

მე მინახავს სწორედ რომ გაჭირვებული მდგომიარეობა რუსეთის გლეხისა, რო-

---

მა შეარჩია, რადგანაც, მისის აზრით, სხვა დროს სოფელში განათლებულს კაცს საჭმლის შოვნა და დროს გატარება არ შეეძლო. სახლში რომ მივიდა, მხოლოდ დედ-მამას მისცა სალამი და ჩამოართვა ხელი, იმათაც ძალიან მედიდურად და აგდებით. დედას უნდოდა ეკოცნა გაბედნიერებულის შვილისათვის, მაგრამ შვილმა ამის ნება არ მისცა: განათლებულ ხალხში არ იციანო. განათლებულ ხალხში, რა მოგახსენოთ, როგორ იციან, ხოლო ამ შემთხვევაში სიმონი კარგად მოიქცა, რადგანაც პირი-სახე საექვო მუწუკებით ჰქონდა დაფარული.

ძნელი სათქმელია, თუ რას ჰფიქრობდა მაკარი გააფიცრებულის შვილის ნახვაზე, რადგანაც ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ წასცდენია. ერთხელ მხოლოდ ის უსაყვედურა შვილს, რომ ქართული რამ დაგავიწყაო, მაგრამ სიმონს ეს საყვედური სიცილოთაც არ ეყო. გამოჩერჩეტდი და აღარ იცი, რაებს მიედ-მოედებიო, უთხრა პასუხად მამას, ქართული რაღა სახსენებელია, ქართული შორს ვერ წაგიყვანს, ქართულს დღეები დათვლილი აქვსო. მაკარის ამაზედ გული აუდუღდა და აღარ იცოდა, რა ეთქვა. სათქმელად მომზადებული სიტყვები ტუჩებზედ გაუშრა და მხოლოდ თვალებში მოგუბებულმა ცრემლი აღაღადდა მაკარის მაგიერ. ამ დროს მაკარის უმცროსი ვაჟი, რომელიც სოფლის სკოლაში სწავლობდა, გაკვეთილს ზეპირობდა და, სხვათა შორის, გარკვევით და მკაფიოდ ამოიკითხა შემდეგი:

გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია.
მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია.
ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა და ნუ ჰგმობს თვისსა ენასა,
თორემ ბოლოს დროს მოიმკის ჩემსავით ცრემლთა დენასა.

ამ სიტყვებმა მაკარის უარესად აუდუღა და აუჩუყა გული. მივიდა და თავის პატარას მიეალერსა:

— შენ მაინც ნუ გადამიგვარდები, ჩემო უკანასკნელო ნუგეშო! შენ მაინც იმ ენაზე მიტირე და მიმგლოვიარე, რა ენაზედაც პირველად ატიტინდი...

როცა ეს ამბავი ხდებოდა, სიმონი გაბლიძულ-გაბუებული ბოლთას სცემდა და მედიდურად, თითქო სტამბოლის სულთანიაო, ერთ აღლიან პაპიროსიდამ თამბაქოს აბოლებდა.

ასეთის პაპიროსის წყალობით სიმონს ერთხელ ცუდი საქმე დაემართა: ერთმა შეძლებულმა მეზობელმა (შეუძლებელი მაშ როგორ გაჰბედავდა?) სიმონი ქორწილში დაჰპატიჟა, სადაც ათას ნაირი ქალი და კაცი იყო მიწვეული. სიმონი ჩვეულებისამებრ ამაყობდა, არავის ჩხირად არ აგდებდა, უფრო-კი მანდილოსანთა კრებას ეტანებოდა. პაპიროსს, რასაკვირველია, პირიდამ არ იშორებდა და უბოდიშოდ აბოლებდა. ამის გამო ერთმა ყმაწვილმა ჩაუარა გვერდით სიმონს და სიცილით წასძახა:

— ყმაწვილო, გაფრთხილდი, მაგ სიგრძე პაპიროსზედ ყვავი არ შემოგიჯდეს. ამ სიტყვებზედ ერთობილი ხარხარი გაისმა, ხოლო ამას შემდეგ სიმონის ჯავრობა:

— Куда это я попалъ! Ослиное стадо!

— ყმაწვილო, რას ილანძღებით! ქორწილია და ქორწილში ხუმრობა უნდა...

— Съ кѣмъ ты шутишь, дуракъ! Кто я такой?

— რა დიდი გგონიათ თქვენი თავი? აფიცერი-კი არა, გენერალიც გვინახავს...

— Молчи, а то не знаю, что сдѣлаю.

— სწორედ მაშინ დაამტკიცებთ თქვენს აფიცრობას, თუ-კი არ გეცოდინებათ, რასაც მოიქმედებთ.

ეს იყო და ეს. სიმონი მოთმინებიდამ გამოვიდა და ხმალს გაიკრა ხელი. ხმალი არც-კი ყოფილა ქარქაშიდამ ამოსული, რომ მისი მოპირდაპირე სწვდა საყელოში, მოიგდო გვერდზედ და სიმონი ნახევრად ამოღებულის ხმალითურთ იატაკზედ გაიშხლართა.

— მასპინძლის პურ-მარილს არ ეკადრება, თორემ შენისავე ხმალით მოგიღებდი ბოლოს, მაგრამ ესეც გეყოფა საშუშებლად. აქ ერთი წიხლი უთავაზა სიმონს იმისმა კეთილისმყოფელმა და თავის ალაგას დაჯდა.

კაი ხნის ფართხალს შემდეგ სირცხვილ-ჭმეული და გაბიაბრებული სიმონი წამოდგა და მორთო ყვირილი.

— Пустите, убью, зарѣжу, разстрѣляю, მაგრამ ვინ-ღა გაუშვებდა.

მაკარიმ გაიგო ეს ამბავი და გულგრილად წარმოსთქვა: „რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდესო“... „ყოველივე მოქადული უსუსურ არს“.

დიდ ხანს უგზავნიდა სეკუნდანტებს სიმონი მის შეურაცხ-მყოფელს და დუელში ითხოვდა, მაგრამ ის ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— დუელისა რა მცოდნია! თუ კიდევ შევხვდი და უზრდელად მოიქცა, გავლახავ და ის იქნება დუელიო.

სიმონის ამაყმა გულმა ეს ორ-კეცი შეურაც-ყოფა ველარ აიტანა. ქალაქში გაეშურა. უნდოდა დარდი ღვინოში ჩაეკლა, მაგრამ არ მოხერხდა. ამასობაში სიმონის გალახვის ამბავი გაზეთში აღნიშნეს. ამაზედ ზოგიერთმა ამხანაგმა სიმონს დაცინვაც დაუწყო. აქ სიამაყე და ზვიადობა სიმონისა სრულიად მოდუნდა და მოიხარა. ერთს ღამეს, როცა ძალიან შეხურებული ჰქონდა ტვინი ღვინისაგან, საფეთქელში დამბაჩა დაიცა და ამ ნაირად, მართალია, სხვასთან ველარა, მაგრამ თავის თავთან ხომ მაინც ძლევა მოსილად გადიხადა დუელი.

დათიკო ვერმიშანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც შვრიის სამეფოდგან ვენახებით გაშენებულს ადგილას გადაუსახლებიათ. მეტს გაჭირვებას ვერც-კი წარმოიდგენთ. დაასახელეთ ნოვგოროდის გლეხი მესენის ნაყოფიერ ხეობაში, ან პანამის შაქრის პლანტაციებში და ეს გლეხი სიმშილით მოკვდება. კავკასიაშიაც რუსეთის გუბერნიიდგან გლეხების გადასახლებამ დაგვიმტკიცა, რომ იქ ჩვენი გლეხი ვერა სძლებს, ვერ ამუშავებს ნაყოფიერს ადგილს, რადგანაც არა აქვს არავითარი ცოდნა იქაურ მეურნეობისა და მევენახეობისა. საჭიროა ამიტომ, რომ შავის ზღვის ნაპირებზედ, სადაც რუსეთის გუბერნიიდგან გლეხებს გადაასახლებენ, ადგილები მისცენ რუსეთის ინტელიგენტებს, რომელთაც შეუძლიან ეს ადგილები რიგიანად შეიმუშავონ და თავის მაგალითით გლეხებსაც ასწავლონ ვენახების გაშენება და საზოგადოთ ამ ადგილების მოვლა.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ სწორედ მოგახსენოთ, არ ვიცით, რომელ ინტელიგენტებზედ ლაპარაკობს აქ პატივცემული ბ-ნი მოლჩანოვი. რუსეთის „ინტელიგენტ ჩინოვნიკებზედ“, რომელნიც, რა თქმა უნდა, უარს არ იტყვიან, ვინიცობაა შავის ზღვის ნაპირას მთავრობა უფასოდ უბოძებს ადგილებს, თუ მართლა მეურნეობის მცოდნე კაცებზედ. როგორც ვიცით, რუსეთში ჯერ-ჯერობით სამეურნეო ცოდნა ისე არ არის გავრცელებული, რომ ყველა ინტელიგენტმა მევენახეობა და მებაღობა—მებოსტნეობა იცოდეს. განა ცოტაა ისეთი „ინტელიგენტი“, რომ ვაშლის ხეს მსხლის ხისაგან სხვა დროს ვერ გაარჩევს, თუ არ შემოდგომაზედ, როცა ამ ხეხილებს ხილი ასხია. მაშ რა-ღა მოსატანია აქ რუსეთის ინტელიგენცია, რომელმაც რუსეთის გლეხებს ის უნდა ასწავლოს, რაც თითონაც არ იცის. თუ ბ-ნ მოლჩანოვს ის უნდა ეთქვა, რომ შავის ზღვის ნაპირის ადგილებზედ, სადაც რუსეთის გლეხებს დაასახლებენ, მეურნეობისა და მევენახეობის მცოდნე კაცებიაო საჭირო, რომელთაც რუსეთის გლეხობას მეურნეობა უნდა ასწავლონ, მაშ რა-ღა საჭიროა, რომ ეს მცოდნე კაცები და უვიცნი გლეხნი უეჭველად რუსები იყვნენ. განა ჩვენ-კი ვეღარ მოუარედ ჩვენს მამულს? გვგონია, რომა ჩვენში უფრო მეტი მცოდნე აღმოჩნდნენ მეურნეობისა და მევენახეობისა.

## რუსეთი

ჟურნალ „Вѣстникъ Финансовъ“-ის უკანასკნელ წიგნში რუსეთის ფინანსთა სამინისტრო აღნუსხავს იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვია ზოგი ძველ გარდასახადთა მომატება და ზოგი ახალ გაუწერელ გარდასახადთა შემოღება რუსეთში. წერილი ჯერ განმარტავს რუსეთის ფინანსების დაქვეითებას იმ მიზეზთა-გამო, რომ მოუსავლიანის და საშინელ სიმშილიანის წელიწადის გამო მოულოდნელი და დიდი ხარჯი მოინდომა ხაზინის მხრით დამშეულთ გამოსაკვებად და ამიტომ თვით რუსეთის ხალხი, რომელიც ყველა გარდასახადთა და სახელმწიფოს შემოსავალთა უმეტესის ნაწილის გადამხდელ-მტვირთველი იყო, დაეცა ეკონომიურად, მოკლებულ იქმნა ქონებრივ ძალღონეს; შემდეგ წერილი აღნიშნავს რუსეთის ხაზინის შემოსავლის კლებას და დეფიციტის გადიდებას; ამიტომაო, ამბობს ფინანსთა სამინისტროს ჟურნალი, დეფიციტების დასაფარავად და სახელმწიფო შემოსავლის წინანდელ დონეზე დასაყენებლად საჭირო იყო ორში ერთს გზას დავდგომოდით: ან ახალი სესხი აგვეღო და ან ზოგიერთი გარდასახადისათვის მოგვემატებინა. პირველი გზა, სესხის აღება, ისეთ სახელმწიფოსათვის, როგორც რუსეთია, წლევანდელს საშინელს შიმშილობისა და ეკონომიურ ვითარებით შერყევის გამო, არ იყო საჭირო და შესაძლებელი ამ დროებით მაინც. მაშასადამე, დაგვრჩა მეორე გზა,— უნდა გვეძებნა ჩვენის ხაზინის შემოსავლის გასაძლიერებლად ძალ-ღონე ისევ ჩვენში, ჩვენის ერის ქონებრივ-ეკონომიურ ვითარებაში. მაგრამ, „Вѣстникъ Финансовъ“-ის აზრით, აქაც, ამ მეორე გზაზედაც ორი წყარო იყო, რომელშიაც ერთს უნდა დავწაფებოდით დაცარიელებულ ხაზინის ასავსებად: ერთი წყარო გაწერილ და ქონების-კვალობაზედ გარდასახადის შემოღება არის და მეორე გაუწერელ გარდასახადის მომატება და ახალთა შემოღება. პირველ-ნაირი გარდასახადი ახალი საქმეა, ჯერ გამოუცდელი და არ მიღებული ჩვენს საფინანსო „სისტემაში“, (თუმცა მეცნიერების თვალით ის უფრო სამართლიანია) და ამიტომ ამ ხანად ხაზინის შემოსავლის მოსამატებლად ვერ დავენდეთ ამ წყაროს, ვერ გავბედეთ იმ გარდასახადის შემოღება. ხოლო მეორე ნაირი გაუწერელი გარდასახადი, როგორც შეჩვეული და შეთვისებული ჩვენის საფინანსო სისტემის-მიერ, უფრო ხელ-საყრელი და შესაფერი გვეჩვენა ამ დროებით და აი ამიტომ დავადეგით გაუწერელ ხარჯთა მომატებისა და შემოღების გზასაო. ეს უკანასკნელი აზრი პატივცემულს ჟურნალს იმ საეკონომიო მოსაზრებით აქვს დასაბუთებული, როგორც „Рус. Вѣд.“ ამბობს, რომ გაუწერელ ხარჯის მხდელი ყოველთვის ისაა, ვისაც რამე აქვსო, ხოლო ვისაც არა აქვს-რა, ბაჟ-დადებულ საქონელს არ იხმარს, მაშასადამე არც მისი გადამხდელი იქნებაო. შიმშილობამ რუსეთის ზოგიერთი ნაწილი გაალატაკა, მაგრამ მაგიერად ზოგი უფრო აამაღლა ქონებრივად, რადგან ფასი მოემატა მათ ჭირნახულს და მაშასადამე მეტს კეთილდღეობაშიც იქნებიან ისინიო და გაუწერელ ხარჯის ხდაც იმათ მოუნდებათო.

— „Сибирск. Вѣст.“-ი გვაუწყებს: იმის გამო, რომ ყოველ-წლივ თანდათან ემატება ტომსკის უნივერსიტეტის იმ სტუდენტთა რიცხვს, რომელნიც თხოულობენ რუსეთის სხვა უნივერსიტეტებში გადასვლის ნებას, აქაურის მკაცრის ჰავის გამო,— ამიტომ უმაღლესმა მთავრობამ განკარგულება მოახდინა: ვინც შემდეგში ტომსკის უნივერსიტეტში შესვლას მოინდომებს, აუცილებლად საჭიროა სხვა საბუთებთან ერთად იქონიოს მოწმობა იმის შესახებ, რომ სრულიად ჯანმრთელია, საღი ფილტვები აქვს და მაგარ აგებულებისაა; უამისთანა მოწმობოდ არავინ არ მიიღოთ ტომსკის უნივერსიტეტშიო.

— „Варшав. Днев.“-ის სიტყვით, საბაქტერიოლოგიო გამოკვლევამ მდინარე ვისლას წყალისამ აღმოაჩინა შემდეგი: დაუწმენდავი წყალი ერთ «კუბიკურ სანტიმეტრში» 4,000 გადამდები სენის ბაქტერია-ბაცილას შეიცავს; ხოლო დაწმენდილი წყალი, საწმენდავ „ფილტრიდან“ ამოღებული, ერთ „კუბიკურ სანტიმეტრში“ 53 ბაქტერიას შეიცავს მხოლოდაო.

— „Рус. Вѣд.“ გვაუწყებს, რომ უმაღლესს დედათა კურსებს ამ შემოდგომას უკანასკნელი მეოთხე კურსი მოემატაო; 22 ნოემბერს ამ კურსებზე წლიური აქტი ყოფილა. გარეშე საზოგადოებაც ბლომად დასწრებია აქტს. კურსების დირექტორის ანგარიშიდან სჩანს, რომ წლეულს პირველ კურსზე 151 მოსწავლე ქალი მიუღიათ; სულ მთლად მოსწავლე ქალები ახლა 385 არიან: საისტორიო-საფილოლოგიო განყოფილებაზე—298 და საფიზიკო-სამატემატიკოზე—87 ქალია; პირველ კურსზე—160, მეორეზე—99, მესამეზე—61 და მეოთხეზე—65 ქალია. აქტი გათავებულა კურსების დირექტორის საყურადღებო სიტყვით, რომლისათვისაც მოსწავლე ქალებს დიდის ტაშის კვრით დაუჯილდოებიათ თავიანთი უფროსი. ზოგიერთი აზრი ამ სიტყვისა—რუსეთის დედაკაცის მოწოდებასა და აწინდელ დანიშნულების შესახებ მეტად საყურადღებოა და შემდეგ ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს.

## უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** ერთ ფრანგულ გაზეთში მოყვანილია ის პირობანი, რომელიც დაუდვიათ გერმანიას, იტალიას და ავსტრი-ვენგრიას. ამ პირობის ძალით მოკავშირენი, რომელნიც თავის თავს ევროპის მშვიდობიანობის დამცველად ჰხადიან, ერთმანეთს უნდა ეშველებოდნენ, თუ ან რუსეთმა და ან საფრანგეთმა გაჰბედა და მეზობელს ომი აუტეხა. საფრანგეთს გერმანიასთან ერთად იტალია და ავსტრი-ვენგრია უნდა დაეცეს და რუსეთს—გერმანიასთან ერთად ავსტრი-ვენგრია. მშვიდობიანობის დამცველთა აზრის განხორციელება მხოლოდ ერთის საშუალებით შეიძლება: მოკავშირეთა გაუთავებელ და მოუღალავ შეიარაღებით და ჯარის გამრავლებით, რადგან ნამდვილი განზრახვა ამ კავშირის არსებობისა მშვიდობიანობის დაცვა-კი არა, მისი დარღვევა და რუსეთისა და საფრანგეთის დამცირება და შესუსტება არის. მაგრამ მოკავშირეთა საუბედუროდ, ევროპაში საზოგადოებრივი აზრი იმდენად ძლიერია, რომ თვით ვილჰელმიც-კი ვეღარ ჰბედავს უყურადღებოდ დასტოვოს ეს მეცხრამეტე საუკუნის ბუმბერაზი და უცბად დაეცეს საფრანგეთს, რათა მიწასთან გაასწოროს. ომი არსად არის და უომრადკი დღითი დღე სულ მეტი და მეტი იხარჯება ჯარზედ, რადგან ამ სამთა კავშირის შეიარაღების მაყურებელი არც საფრანგეთი და არც რუსეთი ნდომობენ, ნაკლები ძალა იქონიონ მტერთან საბრძოლველად. თუ ასე გასტანა, სრული გაკოტრება მოელის იტალიას და ავსტრი-ვენგრიას და ამიტომ არის, რომ მშვიდობიანობის დამცველნი თითონვე ეძებენ მიზეზს, ომი ასტეხონ. თუ ზემოდ მოხსენებულნი პირობანი მართალი სახელმწიფო დოკუმენტია, ეს გარემოება თუნდა იმითი შეიძლება დამტკიცდეს, რომ ავსტრი-ვენგრიას, პირობის ძალით, სრული თავისუფლება ეძლევა ბალკანეთში, თითქო ბერლინის ტრაქტატი აღარ არსებობდესო.

**ბოლგარია** და ავსტრი-ვენგრიაც თუ ომით ვერ ჰბედავს დაიჭიროს ბალკანეთის ერთი სამეფოთაგანი, ეკონომიურად-კი მაგრა ჰყავს ჩაბღუჯული. ბოლგარიამ ას ნახევარი მილიონი ისესხა ავსტრი-ვენგრიისაგან და შავ ზღვაზედ ორი უმთავრესი ნავთ-სადგური დაუგირავა, სადაც სლავიანთა მოსისხლე მტერს შეეძლება თავისი ხომალდები იყოლიოს. ეს გარემოება საკმარისია, რომ ომის მიზეზი, ანუ როგორც იტყვიან ხოლმე Casus belli გაჩნდეს, თვით ბოლგარიელები-კი, თითქო არაფერიაო, კონსტიტუციის გადასინჯვას აპირობენ და იქაურს მთავრობას, სხვათა შორის, შემდეგი ცვლილება სწადიან: წარმომადგენელთა რიცხვი ორჯელ ნაკლები იყოს საერო კრებაში, ვიდრე ახლა არისო, ათი-ათას კაცზედ-კი არა, ოცი-ათას კაცზედ იყოს ამორჩეული ერთი დეპუტატიო და რაც უფრო უმთავრესია—შეიცვალოს ის მუხლი, რომლის ძალით ბოლგარიის მთავარის შვილი უთუოდ მართლ-მადიდებელი უნდა იყოს; მთავრობის აზრით, ეს სარწმუნოებრივის თავისუფლების შევიწროვება არისო და არ შეიძლება, რომ მეფე სხვა სარწმუნოებისა იყოს, ვიდრე მისი ერი და სულით და გულით უყვარდეს თავის ქვეშევრდომნიო.

## წვრილი ამბავი

აი ერთი ამბავი ამერიკის პოლიციისა და სასამართლოს მატიანიდგან. ქალაქ ცინცინატში შეიპყრეს ერთი ძლიერ თავგასული ავაზაკი კარლ ბროუვერი. ამ ავაზაკის დაპატიმრება აქამდე ვერ მოუხერხებინა ამერიკის პოლიციას, რადგან ბროუვერი რაღაც უცნაურის გულთმისნობით მიხვდებოდა ხოლმე, სად რა მოუვა და დროზე ჰშველოდა თავს. მაგრამ იმ დღეს, როცა შეიპყრეს, ბროუვერს იღბალმა უღალატა: დილის ხუთ საათზედ როცა ერთს ბანკში ფულის დიდს „შკაფს“ ამტვრევდა, თავს წამოადგა პოლიცია, რომელმაც შეიპყრო ბროუვერი და გამომძიებელს წარუდგინა. გამომძიებელმა არც აცია, არც აცხელა, ფიცხლად გამოჰკითხა, ოქმი შეუდგინა და დამნაშავე სასამართლოს გადასცა, რომელმაც იმავე დღეს 12 საათამდე გადასწყვიტა ეს საქმე და 5 წლით კატორგა მიუსაჯა ბროუვერს: 12 საათზედ ის უკვე სატუსაღოში იჯდა, საღამოს რვა საათზე საპატიმროს ორი დარაჯი ცემით სიკვდილის პირას მიაყენა; ღამის 3 საათზედ გაიქცა და დილის ხუთ საათზედ კვლავ დიდი ავაზაკობა ჩაიდინა და იმ დღეს რამდენსამე ალაგას სხვა-და-სხვა ნივთები დაიპარა. მაგრამ, თუ ბროუვერი ყოჩაღობდა ქურდ-ბაცაცობაში, არც პოლიციას ეძინა და იმ დღესვე 8 საათზედ ისევ დაიჭირეს და ხელ-ფეხი ბორკილით შეუკრეს: ჭკუა-გასწავლეო! როგორც ჰხედავთ, თუ ამერიკის ქურდები ყოჩაღები ყოფილან, არც პოლიცია ყოფილა ნაკლები!

— საბერძნეთის პროვინცია თესსალიაში მინდვრის თაგვები ძლიერ გამრავლებულა. ეს ხომ დიდი უბედურებაა მუშა-კაცისა და ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის. ამიტომ საბერძნეთის მთავრობას შემწეობისათვის მიუმართავს გრეისფალდის უნივერსიტეტის პროფესსორ ლეფლერისათვის. რომელმაც ამას წინედ თაგვების სახადის ბაცილა (bacillus typhi murium) აღმოაჩინა: ეს ბაცილა სხვა ცხოველებს და კაცს არ ავნებს თურმე. ლეფლერი საბერძნეთის მთავრობის თხოვნით გაემგზავრა თესსალიაში, თაგვების სახადის ბაცილები წყალში გააშენა; ამ წყალში ხმელი პური დაალბო და დაუყარა მინდვრის თაგვებს, რომელნიც ამ საჭმელს ძლიერ მიაძღნენ. ყველა თაგვებს სახადი შეეყარა და უექიმოდ რა მოარჩენდა მათ? რამდენსამე თვის განმავლობაში თესსალიის მინდვრებში სრულიად გაწყდა თაგვები და ახლა, როგორც გაზეთებს სწერენ იქიდგან, ერთიც არ მოიპოვებაო. სჩანს „ბაცილაც“ სასარგებლო ყოფილა ქვეყანაზე, რასაკვირველია, თავისს ალაგას და თავის დროზე!!.

— გამოჩენილს ინგლისელ მოგზაურს სტენლის განუზრახავს კიდევ, მეხუთედ გაემგზავროს აფრიკისაკენ. ახლანდელ მგზავრობას სტენლისას განსაკუთრებითი დანიშნულება აქვს: ინგლისის მთავრობა ჰგზავნის ახლა თავისს სახელგანთქმულს მგზავრს აფრიკის ქვეყანა—უგანდაში. იმის გამოსაკვლევად, თუ როგორ მოასერხონ ამ ქვეყანაში ახალ-შენების გამართვაო.

— შვეიცარიაში, გაზეთ „Echo“-ს სიტყვით, ძრიელ ვრცელდება ისეთი სახლები, რომლის კედლები და ზოგჯერ სახურავიც სულ შუშისაგანაა გაკეთებული. ასეთი კედელი ძლიერ მაგარია და ყოველნაირ ქარ-ტეხილისა და სხვა სიმძიმისაგან არ გატყდება ისე, როგორც ქვიტკირისაგან გაკეთებული კედელი. მასთან ერთი თვისება ამ კედლის შუშისა ისაა, რომ სახლში მყოფნი საკმაო სინათლით სარგებლობენ და ყოველისფერს ამჩნევენ და ჰხედვენ რაც კარ გარეთ ხდება, ხოლო გარედ მოსიარულენი-კი ვერ დაინახვენ, რამდენიც უნდა იჭყიტონ და უცქირონ ამ კედლებში, ვერაფერს, რაც სახლში არის და ხდება.

## წერილი რედაქციის მიმართ

### I

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ჩემდა რწმუნებულ კავკავის ქართულ სკოლის პატარა მოწაფეთა სახელით კავკავში მცხოვრებს ბატონს იოსებ გრიგოლის ძეს შვილიევს, რომლის თაოსნობითაც გამართულ იქმნა ხელის მოწერა და შეგროვდა ოცდა ათი მანეთი, რომლითაც მან უყიდა ჩემდა რწმუნებულ სკოლის ოცდა ხუთ მოწაფეს საბლუზე მაუდი.

ვიმედოვნებთ, რომ სხვებიც მიჰბაძვენ ამ კეთილს მაგალითს და აღმოუჩენენ სკოლას შემწეობას სხვა და სხვა ხელსაწყო სასკოლო საგნების შეძენაში. ამისთანა საგნებით ხსენებული სკოლა ჯერ-ჯერობით მეტად ღარიბია.

კავკავის ქართულ სკოლის უფროსი მასწავლებელი

ლ. ბოცვაძე

30 ნოემბერი 1892 წ.

ქ. კავკავი

### II

გთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო მღვდელ-მონაზონს

მამა ლეონიდს, რომელმაც შემოსწირა თხუთმეტი მანეთი ფული ჩემდა რწმუნებულს სტეფანწმინდის სამრევლო სკოლას—საღმრთო სჯულის სურათებისა და სხვა სასკოლო საგნების შესაძენად.

მადლობას ვუხდი აგრეთვე ანდრია კობაიძეს, რომელმაც შემოსწირა ამავე სკოლას ათი ნომერი ჟურნალ «ჯეჯილისა“ და კიდევაც აღუთქვა გამოწერა მისი მომავალ წლისათვის. ამ ჟურნალების შემოწირვით დაიწყო სახალხო წიგნთ საცავის დაარსების საქმე. თუ ეს განზრახვა კეთილად განხორციელდა, ცხადია, მცირე სარგებლობას არ მოუტანს სკოლასთან ერთად იმ ერს, რომელიც არის შემწყვდეული ციცაბო კლდეებს შუა და სმინავს ისევ გამოურკვეველის მიდათ.

იმედია, თანაგრძნობას გაუწევს ამ კეთილს საქმეს ქართველობა და არ დაიშურებენ მცირეოდენ შემოწირულებას, ფულით იქნება, თუ წიგნებით.

სტეფან-წმინდის სამრევლო სკოლის მასწავლებელი

ნიკოლოზ კახიშვილი

# დეპეშა

4 დეკემბერი

**პეტერბურგი.** ხმა დადის, რომ ამ დღეებში სახელმწიფო საბჭოში განხილულ იქნება პროექტი ბამბაზე ბაჟის მომატების შესახებ.

**პარიჟი.** მთავრობამ მოითხოვა, პანამის გამომძიებელ კომისიას და უფრო დიდი უფლება და რწმენა მიენიჭოსო. პალატამ ეს საქმე ისე გადასწყვიტა, როგორც მთავრობას ჰსურდა.

**ბერლინი.** დიდმა მთავრინამ ალექსანდრა იოსების ასულმა ინახულა გუშინ პოტსდამში იმპერატორი, იმპერატრიცა და ქვრივი დედოფალი.

**ვენა.** ავსტრიის რეიხსტაგის ერთმა დეპუტატთაგანმა, ლიუგერმა წარმოსთქვა, რომ დამზღვეველი საზოგადოების „Phoenit“-ის ზედამხედველი საბჭოს წარმომადგენელი გოფრატ კაფი ქრთამს იღებსო. გრაფმა ტააფემ ეს მოხსენება გაუგზავნა პროკურორს რათა კაანი სამართალში იქმნას მიცემულიო.

**პარიჟი.** პალატაში დიდი კამათი იყო იმის შესახებ, განხილულ იქმნას, თუ არა თითო პურკერთს წინადადება. შესახებ პანამის გამომძიებელ საზოგადოების უფლებათა გაფართოებისა. პალატამ ეს წინადადება უარ-ჰყო.

პეტერბურგის ბირჟა, 1 დეკემბ.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,99 | | 8,02 | | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 160 | | 160¾ | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | | 1,10 | | — | ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | ,, | — | ,, | 242 | |
| —მეორისა . . . . . | — | ,, | — | ,, | 222 | |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — | ,, | — | ,, | 193 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | | | | |
| 6%. . . . . . . | 102¼ | | — | ,, | — | ,, |
| 5%. . . . . . . | 100 | | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102¼ | | — | ,, | — | ,, |
| 5%. . . . . . | 100 | | — | ,, | — | ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98½ | | — | ,, | — | ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ 4 „
„ „ 2 „ „ „ 3½
„ „ 3 „ „ „ 3 „
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ 5 კ.
„ „ „ 2 „ 4 „
„ „ „ 3 „ 3½

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. 7 კ.
მე-2 „ „ „ „ 5 „
მე-3 „ „ „ „ 4 „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 7 კ.
„ „ 2 „ „ „
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. „
მე-2 ხარ. ტყავიანად „

# განცხადებანი

ჭრა-კერვის სკოლა **გლოძინსკი-ბეზრუკის მეტოდით**. იყვანს შეგირდებს და აგრეთვე იღებს შესაკერად ქალების ტანისამოსს, ავლაბარში, პაკროვსკის კაზარმის პირდაპირ, № 12.

(2—1)

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მთავრობის ნებართვით გავხსენით ქ. სიღნაღში, იაკობ ფირალოვის სახლებში სამკითხველო ყველა ნაირ ქართულ-რუსულ და აგრეთვე სომხურ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა ა. მაჭავარიანისა და ამხ.

ფასები შემდეგია:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ერთის წლით . , . . . | 4 | „ |
| ნახევარის წლით . . . | 2 | 50 |
| სამის თვით . . . . . | 1 | 30 |
| ერთის თვით. . . . . | „ | 50 |
| ერთის კვირით . . . . | „ | 15 |
| სამკითხველოში კითხვა | „ | 2 |

მსურველთ დანარჩენი პირობანი შეუძლიანთ სამკითხველოშივე შეიტყონ.

ა. მაჭავარიანი

(5—1)

„ქართველთა ამხანაგობის“

წიგნის მაღაზიაში და ამხანაგობის აგენტებთან ისყიდება ამხანაგობის შემდეგი გამოცემანი:

თხზულებანი ილ. ჭავჭავაძისა.

ფასი

I ტ. ლექსები და პოემები, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი . . . 1 მ. 20 კ.
იგივე ყდით და კარგ ქაღალდზედ . . . 2 მ. 50.
II ტ. მოთხრობები . 1 მ. „
იგივე კარგ ქაღალდზედ და ყდით . . . 2 მ. 50.
IV ტ. „იზა“ რომანი ბუვიესი, თარგმანი . . 1 მ. 60.
იგივე, კარგ ქაღალდზედ 2 მ. 50.

თხზულებანი ყაზბეგისა:

I, II, III და IV ტ. ამ ტომებში მოთავსებულია სხვათა შორის: ელგუჯა, მამის მკვლელი, მოძღვარი, ელისო, ხევის ბერი, გოჩა და სხვ. . 4 მ. 80.
ცალკე თითო ტომი . 1 მ. 20.
იგივე, კარგ ქაღალდზედ და ყდით, ოთხი ტომი . 9 მ. 50.
ცალკე თითო ტომი . 2 მ. 50.
თხზულებანი ი. დავითაშვილისა, ავტორის სურათით . „ 80.
იგივე ლამაზის ყდით . 1 მ. 25.
„ბნელო“ მოთხრობა მელანიასი (ფსევდონიმი) . „ 40.
იგივე, ლამაზის ყდით . „ 90.
სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა . . . „ 20.
ხალხური ზღაპრები წ. I „ 30.
იგივე, ლამაზი ყდით . „ 75.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა—პოემა ბაჩანასი . „ 15.
სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიული საჭმელებისა . . . 1 მ. 20.
იგივე ყდით. . . . 1 მ. 40.
„ჩანგი“ . . . 1 მ. „
კედლის კალენდარი 1893-წლ. . . . . „ 40.

მიხ. ალ.-ძე ნასიძე

იყვანს კლავინდებურად ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლის პირველ კლასებისათვის მოსამზადებლად.

ადრესი: ვარანცოვის ვიწრო ქუჩა, ძეგლის პირდაპირ, სახლი ზომერისა, № 5. (10—7)

საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა და სხ. პატრონთ, რომ, საზოგადოების წესდების § 30 ძალით, ამ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება საკუთრად ვენახებისა, ბაღებისა და სხ. დაზღვევისათვის სეტყვისაგან ამ განყოფილების მოქმედება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როცა მსურველნი დაზღვევისა იქმნებიან იმდენი, რომ მათის დასაზღვევის მამულების საზღაური 500,000 მან. იქნება.

სურვილი თვისი უნდა გამოუცხადონ საზოგადოების სააგენტოს დილის 9—12 საათამდე, ხოლო მერმისს პირველ იანვრიდგან დილის 9—3 საათამდე. (აბას-აბათის მოედანი, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, საკუთარი სახლი). იქვე შეიძლება მიიღოს მსურველმა შემდეგი წიგნები:

Страхованіе отъ градобитія.

Краткій очеркъ развитія этой отрасли обезпеченія въ Германіи и Россіи.

Сборникъ свѣдѣній для опредѣленія убытковъ, причиняемыхъ культурнымъ растеніямъ градобитіями и др. атмосферическими вліяніями, а также насѣкомыми и болѣзнями.

Составилъ В. А. Таргонскій

სააგენტოს გამგე დ. ქ. თუთაევი.

1893 წლის 1 იანვრიდგან არსდება ტფილისში

„უნივერსალი სააგენტო“

დ. ქ. თუთაევისა

აბას-აბათის მოედანზედ, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, დილის 9—3 საათამდე.

საქმე სააგენტოსი:

I რიგისა

დაზღვევა სიცოცხლისა ყოველ იმ წესით, რა წესითაც-კი შესაძლოა.

დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავისა და მოძრავის ქონებისა.

დაზღვევა ჭირნახულისა და ვენახებისა სეტყვისაგან.

გასყიდვა 5-%-იან მომგებისბილეთებისა I და II სესხისა და სახელმწიფო სათავად-აზნაურო მომგებიან გირავნობის ფურცელთა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით და ხელ-მოსაცემ პირობით.

დაზღვევა მომგებიან ბილეთებისა გაბათილებისაგან უზრუნველ-ყოფისათვის, თითო ბილეთისა 60 კაპეიკად.

II რიგისა

შედგენა ხარჯთ-აღრიცხვათა და გეგმებისა შენობათა ასაგებად. (სააგენტოს ჰყავს საკუთარი ხუროთ-მოძღვარი-არხიტექტორი).

შესრულება ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ყველა საქმისა, რომელიც-კი შეეხება მთავრობისა და სხვა კერძო დაწესებულებათა, აგრეთვე კომერციის და სხ.

სააგენტო ტვირთულობს სოფლისა და ქალაქის მამულების დაგირავებას ტფილისის სათავად-აზნაურო და სახელმწიფო ბანკში და აგრეთვე საკრედიტო საზოგადოებაში.

რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული **1.000,000** მან.)

პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, 27

ისყიდება 5%-იანი მომგებიანი ბილეთები I და II სესხისა და გირავნობის ფურცელნი სახელმწ. საადგილ-მამულო ბანკისა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი 10% იმისი, რაც ბილეთი ჰღირს ბირჟაზედ (არა ნაკლებ 15 მან.). ყოველ თვე-და-თვე უნდა გადახდილ იქმნას იმდენი, რამდენსაც თვით მყიდველი ისურვებს (არა ნაკლებ 5 მან.)

კ უ პ ო ნ ე ბ ი სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა გაბათილებისაგან ჰღირს 60 კაპ.

(20—18) აგენტი დ. ქ. თუთაევი

რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

(30—22) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.

დედა-ენა

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, ახალი მეცხრე გამოცემა დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. წიგნის ტექსტი შეუცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ თავში ჩართული აქვს სახატავი სურათები და ბოლოში ოთხი გვერდი საწერი დედანი მსხვილისა და შუათანა ხელისა, ასე რომ ამ წიგნის ხმარების დროს მოსწავლეს ცალკე დედანი აღარ დასჭირდება. ფასი უწინდელია—ექვსი შაური. ვინც იყიდის 30 ცალს ერთბაშად ნაღდს ფულზედ, წიგნი დაეთმობა უყდოდ 25 კ. და ყდით 33 კ.

შემდეგი გამოცემისათვის უკვე შეკვეთილია საწერი დედანი წვრილის ხელისა და ნუსხურისა. 10—10

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—26)

Доз. ценз. Тифлисъ, 4-го Декабря 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**